განმარტებითი ბარათი

საკრებულოს დადგენილების პროექტზე

„აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია დადგენილების შესახებ:

ა.ა) დადგენილების მიღების მიზეზი:

დადგენილება მომზადებულია საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 24-ე და 91 მუხლების შესაბამისად და განსაზღვრავს 2024 წლის განმავლობაში მისაღები შემოსულობებისა და გასაწევი გადასახდელების მაჩვენებლებს შეესაბამება.

ა.ა.ა) პრობლემა რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს დადგენილება:

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებულ, მუნიციპალიტეტის ფუნქციებისა და ვალდებულებების შესრულების მიზნით მისაღები შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების ერთობლიობას.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად დადგენილების მიღების აუცილებლობა:

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის თანახმად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს მიერ მომზადება და მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ განხილვა და დამტკიცება ხორციელდება ყოველწლიურად.

ა.ბ) დადგენილების პროექტის მოსალოდნელი შედეგი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 77-ე მუხლის შესაბამისად, 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების დამტკიცება.

ა.გ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

ძირითადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები

აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები დამოკიდებულია საქართველოში არსებულ მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მაკროეკონომიკური პარამეტრების ზღვრების დასაცავად განსახორციელებელ ღონისძიებებსა და შეზღუდვებზე.

საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ 2024-2027 წლების ძირითადი ეკონომიკური და ფინანსური ინდიკატორების საბაზო სცენარის მიხედვით 2024 წლისთვის ნომინალური მშპ-ს ზრდის ტემპი განსაზღვრულია 5 %-ით. აღნიშნულიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ დადგენილების პროექტში

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლით განსაზღვრული ასიგნებების ზრდა შეესაბამება საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 155[1] მუხლის 2-ე პუნქტის მოთხოვნებს.

ბიუჯეტის პარამეტრები

საგადასახადო შემოსავლები

საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლები საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 77-ე მუხლის 6-ე და 6[1]-ე პუნქტების გათვალისწინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან მიღებულ საგადასახადო შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს.

2024 წლის პროგნოზით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები ნომინალურ გამოხატულებაში 10 862.0 ათას ლარს შეადგენს. 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით 2024 წლის საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი იზრდება 839.9.9 ათასი ლარით).

2024 წელს საგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **დამატებული ღირებულების გადასახადის** საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 8 838.7 ათასი ლარით;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით დღგ გაზრდილია 806.6 ათასი ლარით; აღნიშნული მოცულობით ზრდა გამოწვეულია მიმდინარე წელს, დაგეგმილზე მაღალი ეკონომიკური ზრდის შედეგად მოსალოდნელი გადაჭარბების და მომდევნო წელს ეკონომიკის ნომინალური ზრდის ფისკალური ეფექტებით;

- **ქონების** გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი შეადგენს 1 300,0 ათას ლარს;

  2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით ქონების გადასახადი 100.0 ათასი ლარით იზრდება.

2024 წელს არასაგადასახადო შემოსავლების პროგნოზი გადასახადების სახეების მიხედვით შემდეგია:

- **გრანტების** სახით დაგეგმილი მაჩვენებლები განისაზღვრება 175.3 ათასი ლარამდე, მათ შორის:

სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მისაღები გრანტები 175.3 ათასი ლარი; 2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით გრანტები 84.7 ათასი ლარით მცირდება. (2023 წლის 12 ოქტომბერს, ძალაში შევიდა თავდაცვის კოდექსი. თავდაცვის კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ",

„თავდაცვის ძალების რეზერვისა და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონები (რომლის მიხედვითაც ფინანსდებოდა დელეგირებული ფუნქცია).

აღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტს 2024 წლიდან აღარ აქვს უფლება დააფინანსოს ზემოთ აღნიშნული დელეგირებული ფუნქცია.

- **შემოსავლები საკუთრებიდან განსაზღვრულია 90.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ პროცენტები 30.0 ათასი ლარი.

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით პროცენტები არ იზრდება.
  - ✓ რენტა 60.0 ათასი ლარი;

    2023 წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით რენტა არ იზარდა.
- **შემოსავლები საქონელისა და მომსახურების რეალიზაციიდან განსაზღვრულია 63.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:**
  - ✓ სანებართვო მოსაკრებლები 25.0 ათასი ლარი;
  - ✓ მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 23.0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი მომსახურების გაწევიდან 15.0 ათასი ლარი;
- **შემოსავლები სანქციები, ჯარიმები და საურავებიდან განსაზღვრულია 395.0 ათასი ლარის** ოდენობით, მათ შორის:
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროებში 2.0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 378.0 ათასი ლარი;
  - ✓ შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) სახელმწიფო საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო 15.0 ათასი ლარი;

- **არაფინანსური აქტივების კლების** (პრივატიზაცია) სახით მისაღები თანხის გეგმა შეადგენს 2 600.0 ათას ლარს;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა შეადგენს 13 462.0 ათას ლარს (2023 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით იზრდება 2 320.4 ათასი ლარით).

აღნიშნული ზრდა გამოწვეულია 5 ძირითადი ფაქტორით, თანამშრომელთა ხელფასების 10%-იანი ზრდით; ა(ა)იპ-ების 10%-იანი სახელფასო ფონდის ზრდით; გარე განათების დაფინანსების ზრდით; ზოგადი ხედვისა და ნომრის ამომცნობი კამერების მოწყობითა და მათი მოვლა-შენახვის დაფინანსების ზრდით და სოციალური პროგრამების ზრდით;;

პრიორიტეტების მიხედვით გათვალისწინებულია:

- **ინფრასტრუქტურის განვითარება -2 335.5 ათასი ლარი; მათ შორის:**

✓ **საგზაო ნიშნები და უსართხოება - 425.5 ათასი ლარი;**

განხორციელედება შემდეგი ობიექტების მშენებლობა რეაბილიტაცია: პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მაღალი ტექნოლოგიური მონაცემების მქონე ჭკვიანი და ზოგადი ხედვის კამერების მონტაჟი და მოვლა-შენახვა;

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა - 20.0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინერე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები;

✓ **ბინათმშენებლობა - 10.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შწენობა-ნაგებობების ახალ აბონენტად მიერთების ღირებულება, ელექტრო ენერგიის და წყალგაყვანილობის სისტემაში;

✓ **კეთილმოწყობის ღონისძიებები - 1 500.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისათვის საჭირო სამუშაოები, ქალაქისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების და გზების ნაპირების გაცელვითი სამუშაოები. რამდენიმე ეტაპად შეიწამლება და გაითიბება სასაფლაოების ტერიტორიები. გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება და მისი პერიოდული შეკეთება, გარე განათების არსებული ქსელის ექპლუატაცია.

✓ **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება 150.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება რეგიონის განვითარების ფონდიდან გამოყოფილი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება;

- ✓ **ტურიზმი - 30.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია";

- ✓ **საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურეობის შესყიდვა 200.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინრე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა; ასევე ფინანსდება ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის შესყიდვა;

- ➢ **დასუფთავება და გარემოს დაცვა განისაზღვრა -420.0 ათასი ლარი; მათ შორის:**
- ✓ **დასუფთავება და ნარჩენების გატანა - 420.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დასუფთავების სამსახური ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას ქ. სამტრედიის ტერიტორიის არსებულ ნაგავსაყრელზე.

- ➢ **განათლება -2 421.8 ათასი ლარი; მათ შორის:**
- ✓ **სკოლამდელი განათლება - 2 400.0 ათასი ლარი;**

სკოლამდელ დაწესებულებებში, უსაფრთხო გარემოს შექმნა, ჯანსაღი კვება; კვება ძირითადად შეესაბამება რეგლამენტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს; საბავშვო ბაღებში HACCP სისტემის დანერგვა, საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოწყობა მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით;

- ✓ **განათლების ღონისძიების პროგრამა 21.8 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: ფოტოკონკურსი „ჩემი თვალით დანახული აბაშა" და მერის სტიპენდია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისთვის;

- ➢ **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი - 1 935.3 ათასი ლარი მათ შორის:**
- ✓ **სპორტის განვითარების ხელშეწყობა 895.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა ჯანსაღი მომავალი თაობის აღზრდის მიზნით. ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მეტი მოზარდის ჩართვა სპორტის სახეობებში მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით და საზღვარგარეთაც; ასევე ფეხბურთის პოპულარიზაცია, სპორტის აღნიშნული სახეობის განვითარებისთვის აუცილებელი პირობების შექმნა, ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენების გამოვლენა, ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის რეზერვის მიწოდება. სპორტული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი პროექტები:

- ბავშვთა და სასკოლო სპორტის ეროვნული ფედერაციის მიერ შემოთავაზებული პროექტის „სასკოლო სპორტული ოლიმპიადის" მუნიციპალურ ტურში გამარჯვებული სასკოლო გუნდებისათვის სპორტული ფორმების შეძენა.
- სპორტის საერთაშორისო დღის (6 აპრილი) აღნიშვნა.
- ოლიმპიური დღის (23 ივნისი) აღნიშვნა.
- ევროპის სპორტის კვირეულში (23-30 სექტემბერი) მონაწილეობა.
- ოლიმპიური დღის (23 ივნისი) აღნიშვნა.
- წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების პრემირება;

✓ **კულტურის განვითარების ხელშეწყობა - 1 020.3 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი განახორციელებს ბიბლიოთეკების, მუზეუმებისა და კულტურისა და ხელოვნების ცენტრის დაფინანსებას, უზრუნველყოფს მათი ფუნქციონირებისთვის საჭირო მატერიალური და ფინანსური ბაზის შექმნას. მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული და დასვენების ობიექტის ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიება, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიება და სხვა, ფინანსდება ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა, ასევე შესაძლებლობების ფარგლებში სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებების ჩატარება, რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა;

✓ **რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა - 50.0 ათასი ლარი.**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კანონით ნებადართული აქტივების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების ღონისძიებათა ფინანსური ხელშეწყობა;

✓ **ახალგაზრდობის მხარდაჭერა - 20.0 ათასი ლარი;**

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია:

აბაშის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 2023-2024 სასწავლო წლის სსიპ საჯარო სკოლის კურსდამთავრებულების, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიან ეროვნულ გამოცდებში ყველაზე მაღალი რეიტინგის (100% საგრანტო ქულის) საფუძველზე მოიპოვეს სწავლის გაგრძელების უფლება, ერთჯერადი ფულადი ჯილდოს სახით გადაეცემათ 500 (ხუთასი) ლარი;

- „ახალგაზრდული საბჭოს" ხელშეწყობა და ახალგაზრდების მიერ ინიცირებული პროექტების დაფინანსება;
- განსაკუთრებული ნიჭის და მიდრეკილების მქონე ახალგაზრდების მხარდაჭერა;
- გარემოს დაცვითი ღონისძიებების მოწყობა.
- ახალგაზრდების სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარების ხელშეწყობა (ტრენინგების მოწყობა ახალგაზრდებისათვის: პიროვნული უნარების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის და სახელმწიფოებრივი თვითშეგნების განვითარების საკითხებზე).
- „ეტალონის" ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება;
- ფეინდბოლის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის მხარდაჭერა;

➢ **ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 1 008.3 თასი ლარი, მათ შორის:**

✓ **საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება - 275.0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების ზედამხედველობა და ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. მათ შორის ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში; პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნო პროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების შენახვის და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურეობის მიმწოდებელთათვის; პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდ საშიშროებისას; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობაზე მეთვალყურეობა, ჯანმრთელობის რისკების შეფასება, მონიტორინგი საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება. სანიტარული ღონისძიებები; ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზი, მალარია და პარაზიტული დაავადებები); იმუნიზაცია; ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების პროგრამა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 18 და + ასაკის ბენეფიციარების სკრინინგი, სწრაფი მარტივი ტესტით , ტუბერკულოზის, აივ შიდსისა და C ჰეპატიტის ნაადრევი გამოვლენის თვალსაზრისით პროგრამაში პირველადი ჯანდაცვის რგოლის ჩართვით.

- ✓ **მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება - 280.0 ათასი ლარი;**

პროგრამა ითვალისწინებს ბენეფიციარების სამედიცინო მომსახურების იმ წილის დაფინანსებას ან თანადაფინანსებას, რაც არ ფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით, ან/და კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ. ამ პროგრამით ისარგებლებენ მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სხვადასხვა კატეგორიის ბენეფიციარები, მათ შორის იძულებით გადაადგილებული პირები. სამედიცინო მომსახურების პროგრამით ბენეფიციარებს დახმარება გაეწევათ წელიწადში 1-ჯერ, ერთგვარ სამედიცინო მომსახურებაზე (მაგ: მაღალ ტექნოლოგიური გამოკვლევა, ქირურგიული მკურნალობა, სხივური თერაპია და სხვა). გარდა 0-დან 5 წლის ასაკის ბავშვებისა და ბენეფიციარებისა, რომლებიც რეგისტრირებულები არიან სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში და გააჩნიათ სარეიტინგო ქულა 0-დან 200.000 - ის ჩათვლით.

- ✓ **სოციალური პროგრამები - 453.3 ათასი ლარი; გათვალისწინებულია შემდეგი პროგრამების დაფინანსება:**

- ხანდაზმულთა სოციალური დაცვა -2.0 ათასი ლარი;
- მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა - 63.8 ათასი ლარი;
- ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა - 246.0 ათასი ლარი;
- საცხოვრებლით უზრუნველყოფა - 10.0 ათასი ლარი;
- სხვა არა კლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში - 131.5 ათასი ლარი

- ➢ **მმართველობა - 5 341.1 ათასი ლარი, მათ შორის:**
  - ✓ მუნიციპალიტეტის საკრებულო - 1 486.7ათასი ლარი;

- ✓ მუნიციპალიტეტის მერია - 3 727.4 ათასი ლარი;
- ✓ სარეზერვო ფონდი - 30.0 ათასი ლარი;
- ✓ სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის დასაფარავის თანხა და ვალის მომსახურება 70.0 ათასი ლარი, მათ შორის ძირი 52.0 ათასი ლარი და პროცენტი - 20.0 ათასი ლარი;
- ✓ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები - 25.0 ათასი ლარი;
- ✓ საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა - 2.0 ათასი ლარი

მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები შემდეგნაირად განისაზღვრება:

/ათასი ლარი/

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
	სულ ჯამი	**13 462.0**
01 00	**მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები**	**5 341.1**
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	5 214.1
01 01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	1 486.7
01 01 02	მუნიციპალიტეტის მერია	3 727.4
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	127.0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	30.0
01 02 02	მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა	70.0
01 02 03	სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თანხები	25.0
01 02 05	საგანგებო მდგომარეობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა მიზნობრივი პროგრამა	2.0
02 00	**ინფრასტრუქტურის განვითარება**	**2 335.5**
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	445.5
02 02	ბინათმშენებლობა	10.0
02 01 02	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	425.5
02 07 02	კეთილმოწყობის ღონისძიებები	1 500.0
02 07 02 01	ქალაქის გარე განათება	500.0
02 07 02 02	კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები	1 000.0
02 08	რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	150.0
02 09	ტურიზმი	30.0
02 10	საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპერტო მომსახურეობის შესყიდვა	200.0
03 00	**დასუფთავება და გარემოს დაცვა**	**420.0**
03 01	ქალაქის დასუფთავება	420.0
04 00	**განათლება**	**2 421.8**
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2 400.0
04 04	განათლების ღონისძიებების პროგრამა	21.8
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი**	**1 935.3**

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	895.0
05 01 01	სპორტის ცენტრის ხელშეწყობა	700.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა	182.0
05 01 04	სპორტული ღონისძიებები	15.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1 020.3
05 02 01	კულტურისა და ხელოვნების დაწესებულებების ხელშეწყობა	870.0
05 02 02	ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	38.0
05 02 03	სხვა კულტურული ღონისძიებები	62.0
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50.0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	20.0
06 00	**ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1 008.3**
06 01	ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება	275.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	275.0
06 02	მოსახლეობის ჯანმრთელობის სტაციონალური მომსახურება და ამბულატორიების მშენებლობა	280.0
06 02 01	მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება	280.0
06 03	სოციალური დაცვა	453.3
06 03 01	მზრუნველობა მოკლებული მოსახლეობის უფასო კვების პროგრამა	80.0
06 03 02	სტიქიით დაზარალებული ოჯახების დახმარების პროგრამა (ხანძარი, ქარი, წყალდიდობა)	30.0
06 03 03	დედ-მამით ობოლი ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	1.8
06 03 04	მარჩენალდაკარგულ ბავშვთა (0-დან 18 წლის ასაკამდე) ოჯახების დახმარების პროგრამა	22.0
06 03 05	ომის ვეტერანთა დახმარების პროგრამა	40.0
06 03 06	სამშობლოს დაცვისას დაღუპული და ომის შედეგად გარდაცვლილი მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის ხარჯები	2.5
06 03 07	გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0
06 03 08	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების (0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	11.0
06 03 09	ყრუ-მუნჯებისა და ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე ავარიული სიტუაციების შედეგების ლიკვიდაციის მონაწილეების დახმარების პროგრამა	4.0
06 03 10	დიალიზის პროგრამაში მონაწილე ავადმყოფთა მგზავრობის მხარდაჭერის პროგრამა	50.0
06 03 11	მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის (I ჯგუფი) მქონე პირების დახმარების პროგრამა	40.0
06 03 12	შშმ ბავშვთა დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე ბავშვთა ხელშეწყობის პროგრამა	10.0
06 03 13	მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი შვილი 0-დან 18 წლის ასაკამდე) დახმარების პროგრამა	110.0
06 03 14	100 წლის და 100-ზე მეტი ასაკის უხუცესთა დახმარების პროგრამა	2.0
06 03 16	ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა	25.0
06 03 17	თავშესაფარის გარეშე დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებლის ბინის ქირით უზრუნველყოფის პროგრამა	10.0
06 03 18	სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების დახმარების პროგრამა	5.0

პროგრამული კოდი	დასახელება	2024 წლის გეგმა
06 03 19	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	5.0

აბაშის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში

- *საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება - 5 341.1 ათასი ლარი;*
- *ეკონომიკური საქმიანობა - 625.5 ათასი ლარი;*
- *გარემოს დაცვა - 420.0 ათასი ლარი;*
- *საბინაო-კომუნალური მეურნეობა -1 710.0 ათასი ლარი;*
- *ჯანმრთელობის დაცვა - 555.0 ათასი ლარი;*
- *დასვენება, კულტურა და რელიგია - 1 935.3 ათასი ლარი;*
- *განათლება - 2 421.8 თასი ლარი*
- *სოციალური დაცვა - 453.3 ათასი ლარი;*

„ აბაშის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების პროექტთან ერთად წარმოდგენილია:

1. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი (2024-2027 წლები);
2. ინფორმაციას ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამების/ქვეპროგრამების, მათი მოსალოდნელი შედეგებისა და შესრულების შეფასების ინდიკატორების შესახებ;

ბ) დადგენილების ავტორი

მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო

სამსახურის უფროსი — თეიმურაზ ნოდია

გ) დადგენილების ინიციატორი

აბაშის მუნიციპალიტეტის მერი — გიგა გაბელაია